ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №585804

ნომერი: AR1115616

თარიღი : 12.03.2013

გაცემის თარიღი : 13.03.2013

გაცნობის თარიღი : 13.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გმირთა , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ამაშუკელი პ/ნ 01017037264
- თბილისი ალ.გრიბოედოვის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – სარეკლამო აბრის მოწყობის სამუშაოების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), გმირთა მოედანი N1–ში არსებულ ცირკის შენობასთან ასასვლელის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის სამუშოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორცილებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (სს "ცირკი"–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N882011134267, 25.03.11 წ. საკადასტრო კოდი N01.15.03.001.006; ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან სს "ცირკი"–ს შესახებ; რეგისტრაციის N B12005082, 03.02.12 წ. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, (სექტორი - მთაწმინდა), გმირთა მოედანი N1–ში არსებულ ცირკის შენობასთან ასასვლელის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის სამუშოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge